

ემუქრება თუ არა ახალი წლის შემდეგ ქართულ ეკონომიკას სავალუტო კატასტროფა

გაზეთი “ვერსია” – 26-28 დეკემბერი, № 152, 2008

საქართველომ სავალუტო ფონდის მორიგი ტრანშის მიღებაზე ამ ეტაპზე უარი განაცხადა, ამის გარდა, ინფლაციის მიზნობრივ ფარგლებში მოსაქცევად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, მონეტარული პოლიტიკის შერბილების შესახებ. რაც ნიშნავს, რომ ლარის კურსს ხელოვნურად აღარ შეინარჩუნებენ და შესაბამისად არც სსფ-ს ფული გეჭირდება, რასაც ეროვნული ბანკი დღემდე ლარის კურსის შესანარჩუნებლად ხარჯავდა.

ლარის გათავისუფლების მიუხედავად, ეროვნული ბანკი ინფლაციის საშიშროებას ვერ ხედავს. ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „ბოლო მონაცემებით, ეკონომიკური აქტივობის შენელება უფრო თვალსაჩინოა. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირებისაკენ შეიცვალა და 2008 წლისათვის 2%-ის ფარგლებშია პროგნოზირებული. საბანკო სექტორში დეპოზიტების ზრდის მიუხედავად, კომერციული ბანკები კვლავ ფრთხილად ეკიდებიან სესხების გაცემას. შესაბამისად, ეკონომიკის დაკრედიტების ზრდის ტემპი კლებულობს, რაც ერთობლივ მოთხოვნაზე შემცირების მიმართულებით ზემოქმედებს. საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი, სავარაუდოდ, გააგრძელებს ადგილობრივი და საგარეო მოთხოვნის შემცირებას, რაც ინფლაციის პროცესს ხელს შეუშლის. შედეგად მოსალოდნელია, რომ დისინფლაცია მომავალი წლის დასაწყისშიც გაგრძელდეს“.

ეროვნულ ბანკში ასევე აცხადებენ, რომ მომავალში, საგარეო შოკების შესუსტების მიზნით, გაცვლითი კურსის პოლიტიკა უფრო მეტად მოქნილი იქნება, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკი ეცდება, თავიდან აიცილოს კურსის მკვეთრი რყევები.

მონეტარული პოლიტიკის შეცვლის შესახებ ხელისუფლებას ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. მაშინაც კი როდესაც ნოემბერში

წონასწორობის ახალი ნიშნული დაადგინა, საზოგადოებამ მხოლოდ კურსის 20 პუნქტიანი გაიფასურების შემდეგ შეიტყო. ექსპერტები აცხადებენ, რომ კარგი იყო, ზუსტად რას აპირებენ, ეროვნულ ბანკს საზოგადოებისთვისაც აეხსნა. ექსპერტთა შეფასებით, წინასაახალწლო პერიოდის გამო, კურსის მეკეთრ ცვლილებას არ უნდა ველოდეთ, მაგრამ თუ ეროვნული ბანკი მართლაც აღარ ჩაერევა, ახალი წლის შემდეგ ჰიპერინფლაციაც არ უნდა გაგვიკვირდეს.

ლარის კურსის ხელოვნურად შენარჩუნების გამო საქართველოს მთავრობა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი. რამდენად მიზანშეწონილია ამ ეტაპზე ლარის თავისუფლად მცურავი კურსის შემოღება და ელოდება თუ არა ქვეყანას ჰიპერინფლაციის საფრთხე ამაზე ეკონომიკური ექსპერტები საუბრობენ.

ლადო პაპავა: “სტენდბაის” პროგრამის ფარგლებსი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 750 მილიონიანი დახმარება გამოუყო. ეს არის თანხა, რომლითაც ქვეყანას შეუძლია, მაშინ ისარგებლოს, როდესაც ჩათვლის, რომ მას ეს ფული სჭირდება. პირველი ტრანში 250 მილიონი დოლარის ოდენობით საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო და ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად გამოიყენა. ეს თანხა უკვე დაიხარჯა კიდევაც ოქტომბერში ლარის კურსის ხელოვნურად შენარჩუნების დროს. შემდეგი ტრანშები პირველის მსგავსად, დიდი პორციით აღარ იქნება, ამ ეტაპზე საქართველოს შეეძლო 80 მილიონიანი ტრანში მიეღო. ამ თანხის მიღებაზე უარი იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა არხებით დახმარებები შემოვიდა, მათ შორის აშშ-ს 200 მილიონიანი დახმარებაც. ეს ფული ბიუჯეტში მიდის, მაგრამ ლარებად, ანუ მთავრობა ეროვნული ბანკისგან ლარებს ყუდულობს, შესაბამისად, ეროვნული ბანკის რეზერვებს დოლარი ემატება. ამ შემთხვევაში საშიშ მოვლენასთან საქმე ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა ამ გადაწყვეტილებას აქვს ერთი მინუსი. როდესაც ასეთ გაჭირვებაში მყოფ ქვეყანას სსფ აძლევს დახმარებას და ქვეყნის მთავრობა გარკვეულ ეტაპზე ტრანშის მიღებისგან თავს იკავებს, ეს იწვევს უარყოფით რეაქციას პოტენციურ ინვესტორებში, რადგან მათ ურჩევნიათ, ქვეყანას მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა ჰქონდეს სსფ-სტან, რაც იმის გარანტია, რომ მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია არ მოხდება. თუმცა დღეს ეროვნულ ბანკს ეს თანხა ისე მწვავედ არ სჭირდება, როგორც შეიძლება მომავალში დასჭირდეს.

რაც შეეხება ლარის თავისუფალი კურსის შემოდებას, თუ ეროვნული ბანკი შეწყვეტს ინტერვენციებს, ამ ეტაპზე ყველაზე დიდი შეცდომა იქნება. იმიტომ რომ შესაძლოა კურსის მკვეთრი რყევა მოხდეს და 7 ნოემბერი, როდესაც ლარი ნახტომისებურად გაუფასურდა, მონაგონი გახდეს. 7 ნოემბრის შემდეგაც იგივე პოლიტიკა გრძელდება, რაც მანამდე, ეროვნული ბანკი თავის რეზერვებს ყიდის და ამით ხელოვნურად უჭირავს კურსი, ამიტომ ლარის დევალვაცია შეუმჩნეველი ხდება. ამდენად, ინტერვენციის შეწყვეტის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ეროვნული ვალუტის კიდევ ერთხელ მკვეთრად დაცემა მოხდეს, რაც ჩვენი ეკონომიკისთვის საზიანო იქნება.

წლის ბოლოს ლარზე მოთხოვნა ყოველთვის იზრდება, თუმცა ასე აღარ იქნება ახალი წლის შემდეგ. ამიტომ სასურველია, ეროვნულმა ბანკმა ეტაპობრივად მოახდინოს ლარის დევალვაცია, ისე, რომ ბიზნესსა და მოსახლეობას მასთან ადაპტაცია არ გაუჭირდეს. ფასები ნებისმიერ შემთხვევაში გაიზრდება, რადგან ჩვენს სამომხმარებლო სექტორში იმპორტს 80 პროცენტი უკავია. თუ დევალვაცია თანდათანობით მოხდება ფასებიც ამავე ტემპით გაიზრდება, ხოლო თუ ნახტომისებური ცვლილება მოხდა, მაშინ ფასების ცვლილება არაპროგნოზირებადი გახდება და ბაზრისთვის სერიოზული შოკი იქნება. მაინც მგონია რომ ეროვნულ ბანკს ეყოფა გონიერება და 7 ნოემბერს აღარ გაიმეორებს

დემურ გიორსელიძე: მთავრობამ საკმაოდ მალე ამოწურა ეროვნული ბანკის რეზერვები, რაც დაუშვებლად მიმაჩნია. ლარის კურსის გაშვება ადრე თუ გვიან გარდაუვალია. სსფ-ს ის ტრანში, რომელიც სავარაუდოდ, კვლავ ლარის კურსის შესანარცუნებლად დაიხარჯებოდა, როგორც ჩანს უკვე აღარ იყო საკმარისი და ამიტომ ზედმეტი ტვირთის აღებას ლარის კურსის გაშვება ამჯობინეს, თუმცა აქაც ყველაფერი გარკვეული არ არის, რადგან როდესაც ქვეყნის ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაშია, ასე შეიძლება ლარი უბრალოდ ხელიდან გაგვექცეს. არ ვფიქრობ, რომ კურსს ბოლომდე თავისუფლად გაუშვებენ, ის ალბათ ნახევრად რეგულირებული იქნება, მაგრამ სასურველი იყო, მოგვესმინა, რას აპირებს მთავრობა. მას განცადება უნდა გაეკეთებინა თუნდაც ლარის კურსის ნაწილობრივი რეგულირების შესახებ.

რაც შეეხება ფასებს, დამოკიდებულლია კურსის ცვლილების დინამიკაზე, თუმცა ის ისედაც იზრდება. განსაკუთრებით ცუდია რომ ეს ხდება პირველადი მოთხოვნილების პროდუქციაზე. შესაძლებელი იყო ამ პროცესის ადგილობრივი წარმოების ზრდის ხარჯზე შეფერხება, თუმცა

მეწარმეებს აღარც საბრუნავი საშუალებები გააჩნიათ და ბანკიდან კრედიტსაც განსაკუთრებული მხარდაჭერის გარეშე უკვე ვეღარავინ იღებს.

პრობლემები არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოშია, თუმცა მთავრობა იმისთვის არსებობს, რომ დღე და ღამე თავს იმტვრევდეს, სწორი გამოსვალის მოსაზებნად და კრიზისის შესაერბილებლად.

გია ხუხაშვილი: თუ ეროვნული ბანკი ასეთ რისკზე წავიდა, ძნელად პროგნოზირებადია, რა მოხდება. არ მგონია ასე გარისკოს, რადგან ამას როგორც ჩვენს მთავრობას უყვარს ხოლმე თქმა, ჩამოშლა მოჰყვება, რადგან ასეთი პოლიტიკით ჰიპერრისკების საფრთხე ჩნდება.

ლარის თავისუფლად გაშვების შემთხვევაში ის დაიწყებს „გამსუბუქებას“, მაგრამ ეს არ მოხდება საახალწლო პერიოდში. წინასახალწლო პერიოდში ღარზე მოთხოვნილება იზრდება, რადგან ყველა პროდუქტებს ყიდულობს. რა იქნება ახალი წლის შემდეგ, ეს არის საკითხავი. ამის გამო არ ვფიქრობ, რომ 7-10 რიცხვამდე კურსის სერიოზული რყევა მოხდეს. თუმცა ჩვენი მთავრობა გადაწყვეტილებებს 2 დღეში ერთხელ იცვლის, არ გამოვრიცხავ, რომ ეროვნულმა ბანკმა 5 იანვარს სხვა რამე გამოაცხადოს.

ღალი ზირაქიშვილი